საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა უწმინდეს პატრიარქ კირილეს ქრისტეს შობის დღესასწაული მიულოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს ქრისტეს შობის დღესასწაული მიულოცა

მის უწმინდესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის

უწმინდეს პატრიარქ კირილეს

თქვენო უწმინდესობავ!

გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დიდ დღესასწაულს და ახალ წელს!

ჩვენს სამყაროში თავისი მოვლენით ღმერთჩვილმა ცისა და ქვეყნის დიდი შერიგება გვიბოძა და ღვთის საბინადროს კარი გაგვიღო.

ჩვენ ვევედრებით ბეთლემში ახალშობილ იესო ქრისტეს, უბოძოს შერიგება წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიოსაც, და დაამყაროს კაცთა შორის სათნოება.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და წარმატებებს თქვენს საპასუხისმგებლო სამსახურში თქვენი სამწყსოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

ქრისტეში ძმური სიყვარულით,

+ ილია II,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92715/